№ 59

ოთხშაბათი, 18 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 59

ოთხშაბათი, 18 მარტი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—8)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. ადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-ი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ზუდინოვი.** 6—7 საათ· შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებრძანა გროზნის ზურგის ჯარის ბატალიონის უფროსს, პოლკოვნიკს თავ. ფავლენიშვილს გენერალ-მაიორობა და ავადმყოფობის გამო სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო სტატსკი სოვეტნიკობა: ტფილისის პირველ გიმნაზიის მასწავლებელს როსტომაშვილს, განჯის გიმნაზიის მასწავლებელს ხუციშვილს; ნადვორნი სოვეტნიკობა: ტფილისის მე-3 გიმნაზიის შტატს გარეშე მეოთ მასწავლებელს თაყაიშვილს, ტფილისის რეალური სასწავლებლის მასწავლებელს ლულაძეს; კოლეჟსკი ასესორობა: მასწავლებლებს: ტემრიუკის სამკლასიანის სასწავლებლის ბერიძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ქქვს-კლასიანის სასწავლებლების მასწავლებლებს ზუგდიდისა—ჩიჩუას, ბატალპაშინისა—ნაცვლიშვილს, სოხუმის სამოქალაქო სკოლისა ჯულელს, რაჭის მიხეილის სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწეს თუთბერიძეს, კულაშის სასწავლებლის ზედამხედველს მკურნალს.

დამტკიცებულ იქმნენ ხარისხში კოლეჟსკი ასესორისა: ტფილისის მესამე გიმნაზიის მასწავლებელი ოცხელი, ბაქოს დედათა გიმნაზიის მასწავლებელი ლორთქიფანიძე, გუბერნსკი რეგისტრატორობისა: პიატიგორსკის სამკლასიანის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ჯგუშია, კავკავის ნიკოლოზის ოთხკლასიანის სასწავლებლის მასწავლებელი ბუკია.

გადაყვანილ იქმნა განჯის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსი, მილიციის პრაპორშჩიკი გედევანიშვილი—იმავე თანამდებობაზედ არეშის მაზრაში და ნუხის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, ნიკოლოზ ქარციძე—იმავე თანამდებობაზედ შუშის მაზრაში.

## ახალი ამბავი

⁂ სამშაბათს, 17 მარტს, დაამთავრეს ხელ-მეორედ დაფასება სახლებისა მე-6 ნაწილში. ამ გვარად ეხლა მხოლოდ ქალაქის ოთხი ნაწილის სახლები დარჩა დასაფასებელი. ჰფიქრობენ, რომ აქაც მამულების დაფასება გათავდება მკათათვეშიო.

⁂ გუშინ, 17 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ორი საქმე, რომლებითაც „ტფილისის ფურც." რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნ ხერატუროვს ცილის წამება ჰბრალდებოდა. ერთს საქმეში ბ-ნი ხერატუროვი გაამართლეს, ხოლო მეორე საქმეში გაამტყუვნეს და მიუსაჯეს 25 მანათის ჯარიმა.

ამ მოკლე ხანში იმავე ბ-ნ ხერატუროვის საქმეს გაარჩევს ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელი მოსამართლე. ბ-ნ ხერატუროვს ბრალდება, რომ სიტყვით შეურაცხება მიაყენა ერთს პოლიციელს.

⁂ შაბათს, 21 მარტს, „ტფილისის კრუჟოკის" დარბაზში საჯარო ლექციას წაიკითხავს კავკასიის სამხედრო-სასამართლოს წევრი ვ. ნ. ივანენკო დუელის შესახებ.

⁂ კვირას, 15 მარტს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში წლიური კრება ჰქონდათ ტფილისის მასწავლებელთა და მოსწავლეების საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრებს. საზოგადოებას 1897 წელს 6,977 მან. და 41 კაპ. შემოსავალი ჰქონია და 1896 წ. დარჩენილთან ერთად სულ 9,965 მან. 72 კაპ. ჰქონია. დაუხარჯავს 6,525 მან. 53 კაპ. და 1898 წ. 1 იანვრისთვის დარჩენია 3,440 მან. 19 კაპ.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის პირუტყვების მოვლა-მოშენების საქმის განსაუკეთესებლად განზრახვა აქვს კარგის ჯიშის საქონლის მომშენებელი ბაკი დააარსოს ὃ ამით მცხოვრებლებს შეაძლებინოს იაფ ფასად შეიძინონ კარგის ჯიშის საქონელი.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა 22 მარტს საზოგადოების სადგურში ხილეულობის გამოფენა გაჰმართოს და მოსწავლეთ ფასი არ გადაახდევინოს ამ გამოფენის დათვალიერებისათვის. გამოფენამ 10 დღეს უნდა გასტანოს.

⁂ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ხელოსანთა მოურავად დაამტკიცა სერობიანცი.

⁂ როგორც რუსეთის იმპერიის მცხოვრებელთა უკანასკნელის აღწერიდგანა სჩანს, რუსეთში სულ 865 ქალაქი ყოფილა, მათ შორის კავკასიაში—44. ქალაქებში მცხოვრებელთა რიცხვი 16,505,000 სულია; ამათ შორის კავკასიის ქალაქებისა—1,010,000 სული. ისეთი ქალაქი, სადაც 150 ათას მცხოვრებელზედ მეტია, სულ 11-ია. მათ შორის ტფილისს მეცხრე ადგილი უჭირავს; ისეთი, სადაც 100 ათას მცხოვრებელზედ მეტია—8; 50 ათასზედ მეტი—37; 30 ათას მცხოვრებელზედ მეტი—41; 20 ათასზედ მეტი—70. კავკასიის ქალაქებს შორის ყველაზედ დიდი ქალაქი ტფილისია (160,600 მცხოვრებელი), შემდეგ ბაქო (112,200), კავკავი (43,800), სტავროპოლი (41,600), ქუთაისი (32,400), გუმბრი (32,000), ერევანი (29,000), ბათუმი (28,500), შუშა (25,600), ნუხა (24,800) ყარსი (20,800). ყველაზედ პატარა ქალაქი რუსეთის იმპერიაში ტურუნხანსკია (ციმბირში), რომელშიაც სულ 200 მცხოვრებელია.

⁂ სიღნაღის მაზრის მემამულემ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა სთხოვა ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მიშუამდგომლეთ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ჩემს მამულში, სიღნაღის მაზრის სოფ. ლაგოდეხს, დაარსებულ იქმნას ან სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, ან სანერგე, ან სხვა, და მე მზადა ვარ შევსწი-

# ფელეტონი

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

„წყარო", წიგნი მეორე, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან. ტფილისი, 1897 წ. ფასი 50 კაპ.

> „Во дни сомнѣній, во дни тягостныхъ раздумій о судьбахъ моей родины—ты одинъ мнѣ поддержка и опора, о великій, могучій, правдивый и свободный русскій языкъ! Не будь тебя—какъ не впасть въ отчаяніе, при видѣ всего, что совершается дома? Но нельзя вѣрить, чтобы такой языкъ не былъ данъ великому народу!"
>
> ტურგენიევი *)

სამშობლო ენა, დედა და ღვიძლი ენა ერთი იმ ფაქტორთაგანი არის, რომელიც გადასწყვეტავს ხოლმე შემდეგში კაცის მიმართულებას. კაცი, აღზდილი გარეშე სამშობლო ენისა, გარეშე მისის ზეგავლენისა, გადაგვარებულია, აღარ ეკუთვნის თავისს ერსა და ტომს. ვიცი, დამისახელებთ ერთ-ორ წინაამდეგს მაგალითს, მამაგრამ ნაცვლად იმისა ჩვენ ათასობით გიჩვენებთ ისეთს საბუთს, რომელიც ეთანხმება და მართალს ჰყოფს ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს. ენა არის სამკვიდრო, რომელიც ჩვენ მივიღეთ ჩვენთა მამა-პაპათაგან, უძვირფასესი სამკვიდრო, რომელიც შესდგება არა მხოლოდ უსულო და უგულო ხმებისაგან,—არამედ შიგ იპოვება ისტორია ჩვენის წარსულისა, სიხარული ὃ ტანჯვა ჩვენთა წინაპართა, იმათი გონება და გრძნობა. ამიტომ არის, რომ სამშობლო ენას ყოველი ერი დიდის სიფხიზლით ეპყრობა. ყველგან და ყოველთვის დაცემა და შესუსტება სამშობლო ენისა მიაჩნდათ დაცემად და შესუსტებად თვით ერის სულიერ ზრდისა; აღყვავება და წარმატება სამშობლო ენისა მიაჩნდათ აღყვავებად და წარმატებად თვით ერისა სულიერად. ჩვენს სამშობლო ენას დიდი ჭირის უფლები გამოუჩნდნენ, დიდი ქომაგები, რომელთ წყალობით იგი ენა ვრცელდება და წარმატებაში შედის და არა სუსტდება. ეს ღირსეულნი კაცნი არიან უპირველესად ჩვენნი ნიჭიერნი მწერალნი და შემდეგ ჩვენი პედაგოგები. ხოლო ისიც სათქმელია, რომ ჩვენ ნაკლებს მხნეობას ვიჩენთ, ნაკლებად ვეხმარებით ჩვენთა მწერალთა და პედაგოგთ სამშობლო ენის განმტკიცებისა და გავრცელების საქმეში. მთელი ჩვენი ზრუნვა ამ მხრივ მხოლოდ ის არის, რომ ვცდილობთ ქართული ენა სკოლებში ისწავლებოდეს. რასაკვირველია, სკოლა მოვალეა შეასწავლოს ბავშვს მისი დედა ენა. მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ ეს არა კმარა. დიდის პოეტებისა და დიდის სწავლულების ბიოგრაფიები ერთს საგულისხმიერო საგანს აღგვინიშნავს: სამშობლო ენის სიყვარული იმათ სჩანერგვიათ ოჯახში და არა სკოლაში. დიდებული პოეტი რუსებისა პუშკინი აღიარებს, რომ დედა ენა და გატაცებული სიყვარული მისი ჩამინერგა ძიძამ ანუ გადიამაო. შემდეგ ამ გადიას ჩინებული ლექსიც უძღვნა „Моей нянѣ". მეორე ბუმბერაზს მცოდნეს რუსულის ენისას, დიდებულს რომანისტს ივანე ტურგენიევს პატარაობაში სრულიად აღკრძალული ჰქონდა დედა ენის სწავლა; ასწავლიდნენ მხოლოდ უცხო ენებს. ასეთს გადაბირებულს აღზრდას უეჭველად ის ბოლო ექმნებოდა, რომ რუსეთი დაჰკარგავდა დიდებულს პოეტს და დიდებულს რომანისტს. ამ განსაცდელს რუსეთი გადაარჩინეს უბრალო მსახურებმა. ტურგენიევების ოჯახში იყო ერთი მსახური, რომელსაც დაუმეგობრდა ბავშვი ვანია და რომლისგანაც სულგანაბული ბაღში, მიყრუებულ ალაგას, რომ მშობლებს არ გაეგოთ, ისმენდა რუსულ ზღაპრებსა და ლექსებს. აი ამათ შეაყვარეს და ასწავლეს სამშობლო ენა ამ ორ გამოჩენილს კაცს.

ესა და ათასი სხვა ამისთანა მაგალითი ამტკიცებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს სამშობლო ენის წარმატებასა და აღორძინებაში. სკოლას აჰკიდეთ ყოველგვარი ზრუნვა, ბატონებო, ხოლო სამშობლო ენა და ამ მხრივ ბავშვის წარმატება თქვენ შეირჩინეთ ხელთ. მშობელი და დედა ენა განუყრელი შემეცნებაა. რომელ ბავშვშიაც იკლებს გრძნობა დედა-ენის სიყვარულისა, იკლებს იგივე გრძნობა მშობლების მიმართაც. რათ ელით სკოლას? გახადეთ თვით ოჯა-

*) ეს ის დიდი პოეტი—რომანისტი ტურგენევი გახლავთ, რომელსაც, როგორც მე-XIX საუკუნის დიდებულს მწერალს, დიდი პატივი დასდო მთელმა ევროპამ და, რომელიც ბ-ნმა ანტონ ფურცელაძემ ამას წინად სამართლიანად ვერ მოიხსენია („ივერია" № 52).

ავტ.

რო ამ საქმეს, რამდენიც დასჭირდება, მამული, სადგური, საჭირო მუშა, საქონელი და სხვა. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ თავ. ჩოლოყაშვილის თხოვნის თანახმად შუამდგომლობა დაიწყო, რომ იმის მამულში დაარსებულ იქმნას ხეხილის სანერგე სხვა-და-სხვა გვარ ხეხილისა და მცენარეულობის საცდელად დასარგავად. ამასთანავე ამ სანერგემ იქაურ მცხოვრებლებს უნდა აძლიოს დასარგავად ყოველგვარი ხეხილი. ამ სანერგეს მომართვა-მოსაწყობად საბჭო თხოულობს მცოდნე კაცის გაგზავნას სიღნაღის მაზრაში, რომელსაც საჭირო თანხა უნდა მიეცეს ყოველგვარ ნერგების ყიდვა-შეძენისათვის.

⁂ სიღნაღიდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფურ.“, რომ 13 მარტს ღამე ჩიაურში ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დაესხნენ თავ. ჩოლოყაშვილის წისქვილს, მოჰკლეს მეწისქვილე მახარობლიძე და თან წაიღეს რაც რამ წისქვილში ჰნახეს. ადგილობრივი პოლიცია დამნაშავეთა ძებნას შეუდგა და დაავალა ჩაფართა უფროსს ნაცვლიშვილს შესაფერი ღონისძიება იღონოს დამნაშავეთა აღმოსაჩენად და შესაპყრობად, ნაცვლისშვილმაც შეიპყრო დამნაშავენი და აღმოჩნდნენ რაჭის მცხოვრებლები ვაჩნაძე და კობახიძე და სიღნაღის საზრის სოფ. ბაკურციხეს მცხოვრებელი გლეხი დაჯურაშვილი. დამნაშავეთ სამაზრო სამართველოში აღიარეს თავიანთი დანაშაული და სთქვეს, რომ ჩვენთან ერთად იყო ცნობილ ავაზაკის აჯიას ძმაცაო. თავ. ჩოლოყაშვილმა გაიგო თუ არა, რომ ნაცვლიშვილმა დამნაშავენი შეიპყროო, მაშინვე მაზრის უფროსს 100 მან. გაუგზავნა და სთხოვა, ეს ფული ნაცვლიშვილს გარდაეცით საჩუქრადაო.

⁂ ქ. დორპატი. 14 იანვარს აქაურს საზეითალო ინსტიტუტს დაარსების დღიდგან 50 წელიწადი შეუსრულდა. დიდის ამბით იდღესასწაულა ინსტიტუტმა ნახევარ საუკუნის არსებობის შესრულების დღე. ლამაზად იყო მორთული შიგნით—გარედგან ინსტიტუტი შენობას. ამ დღესასწაულს, სხვათა შორის, ბერლინის საზეითალო ინსტიტუტის პროფესორი შმალცი დაესწრო და თითქმის ყოველ მხრიდგან მოუვიდა მილოცვის დეპეშები, სახელდობრ: პარიჟიდგან, ვენიდგან, კოპენჰაგენიდგან, მილანიდგან, ბელგიიდგან, მიუნჰენიდგან, ჰანნოვერიდგან, შტუტჰარდტიდგან და სხვა... აქტის დროს სხვათა შორის ინსტიტუტის მდივანმა ბ-ნმა დავიდმა ვრცელი ანგარიში წაიკითხა ინსტიტუტის ყოფა მდგომარეობის შესახებ დაარსების დღიდგან დღემდე და სთქვა, რომ ინსტიტუტს უკვე ჯეროვანი სახელი და პატივისცემა აქვს დამსახურებული, რადგან წინად თუ გაურბოდა ხალხი ინსტიტუტს, სამაგიეროდ ეხლა ბევრი მოდის და ბევრს მოჰყავს საქონელი საწამლებლადაო, მაგალითად შარშან 6000 სულამდის პირუტყვი მოიყვანესო. ამ ჟამად ინსტიტუტში მხოლოდ ორი ქართველი სწავლობს.

⁂ დუშეთი. როგორც ეტყობა, ჩვენის სულ-ამომავალის კლუბის საქმე კარგად უნდა წავიდეს, რადგან წელს ბევრი ახალი წევრი შეემატა. მხოლოდ ის-კი უნდა ვისურვოთ, რომ ყველა ჩაწერილმა წევრმა შეიტანოს სრული წლიური საწევრო ფული და ისე არ მოიქცნენ, როგორადაც შარშან. შარშანდელ წევრების თითქმის ნახევარ ნაწილს არ შეუტანია სრული საწევრო ფული. ზოგმა შემოიტანა მხოლოდ წლის ნახევარი გარდასახადი და ზოგმა სულ არაფერი. აი ამ მიზეზის გამო იყო ჩვენი კლუბი სულ მიხდილად და ვის რა სამსახურს გაუწევდა. სრული საწევრო ფული შემოიტანა შარშან მხოლოდ 18 წევრმა, სულ-კი 35 წევრი იყო.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის სოფელს ჭაკვანში მცხოვრებელი აზნაური მიხეილ ესტატეს ძე ქაჯაია, 23 წლისა, რომელიც დროებით ტფილისში სცხოვრობდა. 1897 წელს მარიამობისთვის 27-ს, დილის ცხრა საათზედ, გამოვიდა თავის სადგომიდან და დღემდის აღარავინ იცის მკვდარია თუ ცოცხალია? თუ ვინმე იცის ამ დაკარგულის შესახებ რამე ცნობა, სთხოვენ გაზეთით გამოაცხადონ.

⁂ ქ. განჯა. 13 მარტს, საღამოს 6 საათზედ, ქუთაისის მაზრის მცხოვრებელი იოსებ ტარაძე ორთქლ-მავალის კიბიდგან გადმოვარდა, ორთქლ-მავალს მოჰყვა ქვეშ და ძლიერ დაშავდა.

⁂ გაზ. „ჩერ. ვერ.“ სწერს, რომ 9 მარტს, ქუთაისის ქალაქის საბჭომ განიხილა ქალაქის გამგეობის მოხსენება პურის ნიხრის შეცვლის შესახებ და დაადგინა: 1) გირვანქა პური მესამე ხარისხისა იყიდებოდეს $3\frac{1}{2}$ კაპ.; 2) მეორე ხარისხისა—4 კაპ. და 3) პირველ ხარისხის შესახებ ნიხრს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ქუთაისის მეპურეები არ აცხობენ პირველ ხარისხის პურსაო. მეორე დღეს მეპურეები მივიდნენ ქალაქის გამგეობაში და გამოუცხადეს, რომ ჩვენ ამ ნიხრით არ შეგვიძლიან პური ვყიდოთ და იძულებული გავხდებით ხელი ავიღოთ მეპურობაზედაო. ნიხრი წარედგინა გუბერნატორს. გუბერნატორმა უკვე განიხილა, დაამტკიცა და იგი შემოღებულ იქმნება 12 მარტიდგანაო.

## ქალაქის საბჭო.

16 მარტი

წაკითხულ იქმნა წინანდელის კრების ოქმი.

ხმ. მიტკევიჩი. (თავმჯდომარეს): საბჭომ აარჩია კომისია, რომელსაც მიანდო იმის შემუშავება, თუ რა წეს-რიგით უნდა მოხდეს ხოლმე საბჭოს სხდომები. კომისიამ, რომლის თავმჯდომარეთაც მე ვიყავი, მინდობილი საქმე გააკეთა და მოხსენება გამგეობას გადასცა ამა წლის იანვარში. მას შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა და გამგეობას ჯერ საბჭოსთვის არ მოუხსენებია ეს საგანი. გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, ამისი მიზეზი აგვიხსნათ, რომ კომისიამ აიცილოს თავიდგან ყოველივე ბრალდება.

თავმჯდომარე გ. გ. ევანგულოვი. კომისიამ მინდობილი საქმე პირ-ნათლად შეასრულა და დროზედ წარმოუდგინა გამგეობას თავისი მოხსენება. ეს მოხსენება ეხლა მე მაქვს. საგანი, რომლის გამორკვევაც კომისიას ჰქონდა მინდობილი, მეტად რთული და საყურადღებოა. ამიტომ მე მსურს განვიხილო კომისიის მოხსენება და ჩემი აზრიც ჩავურთო. შემდეგ მოხსენებას გამგეობის წევრებს გარდავცემ და როდესაც ისინი თავისს აზრს წარმოსთქვამენ, საბჭოს წარვუდგენთ განსახილველად.

წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება საყასბოში დაკლულ საქონლის ხორცზედ დამღის დასმის შესახებ.

გამგეობის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ყასბები ხშირად ჩუმად ჰკლამენ ავადმყოფ და გამხდარ საქონელს და იმის ხორც ჰყიდიანო. სწორედ ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად არის საჭირო შემოღებულ იქმნას დადამღვა ხორცისა. ამ საქმეს დასჭირდება წელიწადში 2250 მან., ხოლო ერთხანად 750 მან., ასე რომ პირველ წელიწადს სულ 3,000 მან. მოუნდება.

ხმ. არღუთინსკი-დოლგორუკი. ეს საგანი მე აღვძარი, ამიტომ ძალიან მოხარული ვარ, რომ გამგეობამ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც წარმოუდგინა საბჭოს განსახილველად. მაგრამ ჩვენ ამ ჟამად ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც მოხსენება კარგად არა გვაქვს გაცნობილი. მართალია, საფინანსო კომისიას სიტყვა დაეჯერება, მაგრამ კომისიაც ყველა საგანს საბჭოს კრებამდე $\frac{1}{2}$ საათის წინ განიხილავს ხოლმე. დღესაც ასე მოიქცა საფინანსო კომისია: თითქმის რვა საათზედ შეუდგა ამ საქმის განხილვას და უთუოდ წაკითხვაც ვერ მოასწრო. ამიტომ, ჩემის აზრით, უნდა დაიბეჭდოს ეგ მოხსენება და ხმოსნებს დაურიგდეს.

ხმ. ალიბეკოვი. მართალია, ჩვენ დღეს 8 საათზედ შევიკრიბენით, მაგრამ მაინც მოვასწარით მოხსენების განხილვა. თავმჯდომარემ განგვიმარტა შინაარსი და ჩვენც კმაყოფილნი დავრჩით.

ცოტაოდენის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა, ამიერიდგან ყველა საქონლის ხორცს, რომელიც საყასბოში დაიკვლება, და რომელიც სხვა ქალაქიდგან და სოფლიდგან იქმნება მოტანილი, დამღა დაესვას. ამასთან ძროხისა და ხარის ხორცს უნდა დაესვას ლურჯი დამღა, ხოლო კამეჩის ხორცს—მწვანე.

თავმჯდომარე. ეხლა ჩვენ უნდა განვიხილოთ საგანი ქუჩების შეკეთების შესახებ. რადგანაც წარსულ-კრებაზედ ამ საგანმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია და რადგანაც გამოურკვეველი დარჩა კანონის ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ქუჩების შეკეთების საქმე უნდა მოეწყოს სახლის პატრონებისა და ქალაქის თვითმმართველობის შორის მოლაპარაკებითაო, ამიტომ ჩვენ ამ მუხლის გამოსარკვევად მივწერეთ სხვა ქალაქებს შეგვატყობინონ იმათ როგორა აქვთ მოწყობილი ეს საქმე. შეიძლება საბჭომ პასუხის მიღებამდე გადასდოს ამ საგნის განხილვა.

საბჭომ უარ-ჰყო ეს წინადადება. ცოტაოდენის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა:

— მე კენჭს ვუყრი ეხლა იმ საგანს, ქუჩების შეკეთების საქმე სახლის პატრონებს მიენდოს თუ არა.

ხმ. ა. ბ. ევანგულოვი. გთხოვთ სიტყვის ნება მიბოძოთ.

თავმჯდომარე. სიტყვის წარმოთქმის ნებას აღარავის აღარ მივცემ.

ხმ. ა. ბ. ევანგულოვი. მაშ გთხოვთ ოქმში აღნიშნოთ, რომ ლაპარაკის ნებას არ მაძლევთ.

თავმჯდომარე. ძალიან კარგი.

ხმ. ხუდადოვი. (ევანგულოვს) რა საჭიროა ოქმში აღნიშვნა, როდესაც მაგითი არა გამოვა-რა.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. (ევანგულოვსავე) როგორც ვხედავ, ბევრი რამეს აღნიშვნა მოგვიხდება ოქმში.

საბჭომ 27 ხმის უმეტესობით 26 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყო ის წინადადება, რომ ქუჩების შეკეთების საქმე სახლის პატრონებს მიენდოსო.

თავმჯდომარე. ეს, რასაკვირველია, იმას არა ჰნიშნავს, რომ სახლის პატრონები სრულიად განთავისუფლდნენ ამ ბეგარისაგან.

ხმ. ი. ს. ბაბოვი. ეხლა კენჭი უნდა ვუყაროთ იმას, ქუჩების შეკეთების საქმეს ქალაქი იკისრებს თუ არა.

საბჭომ 26 ხმის უმეტესობით 23 ხმის წინააღმდეგ ეს წინადადებაც უარ-ჰყო.

ხმ. კ. ი. ალიხანოვი. ეხლა რაღა ვქნათ? არც ქალაქსა და არც სახლის პატრონებს არ მივანდეთ ქუჩების შეკეთება, მაშ ვის დავაკისროთ ეგ საქმე.

ერთი ხმოსანთაგანი. მდგმურებს.

მეორე. ღვთის ანაბარა დავტოვოთ.

მესამე. როგორც წინად იყო, ეხლაც ისე დარჩეს, ე. ი. არც წინად შეგვიკეთებია, ნურც ეხლა შევაკეთებთ ქუჩებს (სიცილი).

ხმ. ქალანთაროვი. სახლის პატრონებს რომ დავაკისროთ ეგ საქმე, უსამართლობა იქმნება, რადგანაც

---

ხი სამშობლო ენის სკოლად. დედაენის სწავლება იწყება ორის წლიდგან და არა თავდება სიკვდილამდე. ხოლო სწავლება, ჩვენს ყურადღებას მოკლებული, ინსტიქტიური სწავლებაა, არა სისტემატიური. ოთხისა და ხუთის წლის ბავშვი ჩინებულად შეუდგება სწავლას დედა-ენისას. ჩვენ აქ იმას არ მოგახსენებთ, რომ ასეთი ნორჩი ბავშვი მიუსვით მაგიდას, გაუშალეთ წიგნი და ჩასჩიჩინეთო: ეს ანია, ეს ბანი და სხვა. არა ასეთი სწავლება მოუკლავს ყოველს სურვილს ცოდნისას. სწავლა უნდა იყოს სიტყვიერი. იქონიეთ კარგი საბავშვო სახელმძღვანელოები და იქიდამ დღე მუდამ ცოტა რამ წაუკითხეთ ხოლმე: ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი, გამოცანა, ჩქარა-გამოსათქმელი. მშობელმა რომ ასე უზეჯითოს შვილს,—მეტადრე ეს საქმე დედის მოვალეობაა,—რვა წლამდის, როდესაც იმას სკოლას მიაბარებენ, დედა ენა იმისს გონებასა და გრძნობაში ისეთს მკვიდრს ფესვებს გაიდგამს, რომ მისი ამოფხვრა ყოვლად შეუძლებელი გახდება. სასწავლებელში მოსიარულე ბავშვიც სამოთხ თვეს ოჯახში ატარებს დროს ზაფხულობით. ეს დროც ჩინებული დროა სამშობლო ენის ცოდნის მხრივ წარმატებისათვის. აკი მოგახსენებთ, იყოს სურვილი ჩვენის ოჯახისა და ჩვენი დედა-ენა დაფარულ იქმნება ყოველგვარ შემთხვევისაგან.

ქართველმა ქალმა რომ ოჯახშივე გაუწიოს პატრონობა და მფარველობა დედა ენას იმისათვის საჭირია რიგიანად შედგენილი კრებული, ქრისტომატიები და სხვა ამ გვარი წიგნები. ასეთი წიგნები ძალიან ბევრი უნდა იყოს ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში, რომ ოჯახმა შეიძინოს და აარჩიოს თავისის გემოვნებისამებრ. სამწუხაროდ ამ სარბიელზედ მუშაკნი ძალიან ცოტანი არიან, თუმცა მასწავლებლები ბლომად გვყვანან. სულ უკანასკნელ ხანამდის ერთად-ერთი გულის შემატკივარი და პატრონი ჰყვანდა ამ მხრივ ოჯახსაც და სკოლასაც—პატივცემული და დამსახურებული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. მისი კლასსიკური სახელმძღვანელონი „დედა-ენა“, „ბუნების-კარი“, „კუნწულა“ და სხვ. ყველას მიერ კარგად ცნობილნი არიან. რა აუარებელ მასალას შეიცავენ ეს წიგნები ოჯახში საკითხავად და სამშობლო ენის მხრივ ბავშვების სავარჯიშებლად! ასეთი წიგნები ჰქონდეს ქართველ ოჯახს და ის უნდა წუწუნებდეს? სირცხვილია, ათასჯერ სირცხვილი, ეს ჩვენის ოჯახისათვის და მეტადრე ქართველის ქალისათვის! ძველი დედები ამ მხრივ ბევრით სჯობდნენ ახალ ქართველ დედებს.

უკანასკნელ ხანებში ახალგაზდებმაც დაიწყეს ზრუნვა საოჯახო სახელმძღვანელოების გამრავლებისათვის. როგორც მოსალოდნელიც იყო თავი იჩინეს ამ საქმეში პატივცემულმა მასწავლებლებმა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისამ: რ. ჯაჯანაშვილმა, გ. იოსელიანმა, ალ. ნათაძემ და არ. ქუთათელაძემ. თითო-ოროლა წიგნი-სახელმძღვანელო ამათაც გამოსცეს და წაუმატეს ცოტად იმ ღარიბ ლიტერატურას, რომელსაც საოჯახო და სასკოლო სახელმძღვანელოები ჰქვიან.

ამ ჟამად ჩვენ წინა დევს მშვენიერი კრებული, შედგენილი არ. ქუთათელაძის-მიერ „წყარო“, რომელიც შეიცავს მრავალ ფეროვან მასალას. აქ არის ყველა ჩვეულებრივი განყოფილება სალიტერატურო ქრისტომატიისა. მასალა განსჯითა და დაკვირვებით არის შემოტანილი, მრავალი იგავია ეზოპისა. „წყარო“ ახალს მასალასაც იძლევა, რომელიც ჯერ ამ გვარ წიგნებში არ შეგვხვედრია. ჩვენ ვამბობთ იმ წერილზედ, რომელსაც სათაურად აწერია: „სიონი“, „მცხეთა“, „გელათი“, „ბოდბე“, „სამთავრო“, „ზედაზენი“, „ალავერდის საყდარი“, „იყალთო“, „ქუთაისი“, „ბედია“, „ოლთისი“, „თელავი“, „გორი“, „აწყური“, „ახალციხე“, „არტანუჯი“, და სხვ. ამ მასალას დიდის სიამოვნებითა და სარგებლობით წაიკითხავენ ულვაშებიანი და ლეჩაქ-კავებიანი ბავშვებიც.

ერთი რამ ნაკლი „წყაროსი“: სურათები არა აქვს. ასეთი წიგნი უნდა ყოფილიყო აღსავსე სურათებით, რომ მკითხველს თვალ-საჩინოდ ენახა „გელათიც“, „სიონიც“... მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: ჰამა ქონებაზედ ჰკიდიაო. ასეთი გამოცემა ჩვენში ძალიან ძვირადა ჯდება. აი, თუ ჩვენი ოჯახი დაეხმარება ჩვენს გამომცემლებს, შეიძენს იმათს სახელმძღვანელოებს,—მაშინ შეძლება მიეცემათ მეორე და მესამე გამოცემას მეტი ლაზათი და შნო დასდონ. ოჯახია სკოლა დედა-ენისა! დავაწეროთ დევიზად ყოველ ოჯახის დედა-ბოძს და ყოველ-დღე ვიმეორებდეთ ამ სამ სიტყვას ისე, ვითარცა ლოცვას უფლისად აღმართულს.

მე გახლავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკეთებას უფრო ბევრი ფული უნდება, ვიდრე მოკირწყვლას. მეორეს მხრით ქალაქმა რომ იკისროს, არც ეგ შეიძლება, რადგან ქალაქს იმოდენა ფული არა აქვს. ამიტომ ამ ხანად გადავდოთ ეგ საქმე, მოვიფიქროთ და ისე გადავწყვიტოთ.

საბჭომ შეიწყნარა ეს წინადადება.

კრება 11 საათზედ დაიშალა.

## წერილი კავკავიდგან *)

22 თებერვალს კავკავის ქართულის სკოლის დარბაზში მიწვეული იყო სამზრუნველო კომიტეტის მიერ კავკავის ქართველობა: 1) მოსასმენად წარსულის წლის ანგარიშისა და ახლად დამტკიცებულის წესდებისა; 2) ამოსარჩევად სარევიზიო კომისიისა და, ზემოხსენებულ წესების თანახმად, კომიტეტის წევრებისა და გადასაწყვეტად საეკკლესიო კომიტეტის მოხსენებისა. სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარემ თ-მა ე. სიდამონ-ერისთავმა კრებას მოკლედ აუწყა ანგარიში სკოლისა და მოკლედვე განუმარტა ხალხს შინაარსი ახლად დამტკიცებულის საზოგადოების წესებისა. ამას დასძინა, 22 თებერვალს შესრულდა ასი წელიწადი მეფე ირაკლის მეორის გვამის დაკრძალვის შემდეგ, დღეს ეკკლესიაში უნდა პანაშვიდი გადაგვეხადა მისი სულის მოსახსენებლად, მაგრამ რადგანაც, სამწუხაროდ, გარემოებამ ნება არ მოგვცა, კრებას ვთხოვ, რომ ფეხზე ადგომით მაინც პატივი სცეს იმისს ძვირფასს სახელსაო. საზოგადოება სწრაფად წამოდგა ფეხზედ და ამ გვარად სცეს პატივი ხსენებას საქართველოს ძვირფასის მეფისას.

შემდეგ ბ-ნმა თავმჯდომარემ კრებას წარმოუდგინა პროექტი ეკკლესიისა, შედგენილი ბ-ნ ს. პ. პოპოვის მიერ. ამ პროექტით სამჯობინაროდ არის დანახული, რომ ეკკლესია აშენდეს სკოლის ეზოში. ეკკლესიის აგებას დასჭირდება ექვსასი თუმანიო. აზრი და პროექტი ბ-ნის პოპოვისა საზოგადოებამ დიდად მოიწონა, მაგრამ ფულის უქონლობის გამო გზა აუხვია და შეუდგა იმ საგნის განხილვას, თუ რა ნაირათ და რა გზით შეიძლება გამოიძებნოს საშუალება ეკკლესიის ასაგებად. პირველად ილაპარაკა ალექ. პეტრეს ძე სარაჯიშვილმა, რომელიც მრავალ-გზით ასაბუთებდა, რომ ეკკლესიის ასაშენებლად სამყოფს ფულს ჩვენი ქართველი საზოგადოება ვერ გამოიღებსო. მრავალნი აღტაცებითა და სიამოვნებით ხელს მოაწერენ, ამდენსა და ამდენს შევწირავთო, მაგრამ წავლენ და თავის აზრს ჩქარავე შესცვლია, ფულს აღარ შემოიტანენო, არ შემოიტანენ იმიტომ-კი არა, რომ ეკკლესია არ უნდოდეთ, არამედ იმიტომ, რომ უმეტესი ნაწილი კავკავის ქართველობისა შეუძლებელია და ათასნაირის ხარჯით დატვირთულიო. ამიტომ, ჩემის აზრით, უმჯობესი არის, ვიდრე ფულს ვიშოვიდეთ და წელში გავიმართებოდეთ, დრობით ეს სკოლა გავაკეთოთ ეკკლესიადაო, ამას ორასი თუმანი ეყოფა და ხალხსაც არ გაუჭირდება ამ თანხის გადახდაო. სკოლის შენობის სართულზედ აქეთ-იქით რომ თაღები გადავიყვანოთ, ზედ გუმბათი მოვაყოლოთ და სართულს მაღლა ავწიოთ, ამით სკოლაც შიგვე იქნება და ეკკლესიაც. თუ ასე არ მოვიქეცით, საკუთარს ეკკლესიას ვერ ვეღირსებითო.

იოსებ ვასილის ძე მოზდოკელოვი: სადაც ორასი თუმანი მოიკრიბება, შესაძლო არის, რომ ოთხასიც მოგროვდეს და ეკკლესიაც ცალკე აშენდეს და ეს სკოლაც ისევ სკოლადვე დაგვრჩესო. ანუ შეიძლება ცალკე ეზოში სკოლისთვის ორ-ოთახიანი სახლი ავაშენოთ, რომელიც ორას თუმანზედ მეტი არ დაჯდება და მაშინ ეს სკოლის შენობა შეიძლება ეკკლესიად გადავაკეთოთო. სკოლაში სწავლა და ამავე დროს ღვთისმსახურების გარდახდა ყოვლად შეუძლებელი იქნებაო.

ბ-ნნი ინასარიძე, მ. კახიძე და სარაჯოვი იმ აზრისანი იყვნენ, რომ სკოლა და ეკკლესია ერთად ყოველგან ყოფილა და არის დღესაცაო.

დიდის ბაასის შემდეგ კრება ორ ნაწილად გაიყო. ერთნი ეთანხმებოდნენ ბ-ნ სარაჯოვის აზრსა, მეორენი ბ-ნ მოზდოკელოვისას. ბ-ნმა თავმჯდომარემ უთხრა კრებას: გამართეთ ხელის-მოწერა, დაგვანახვეთ ვის რა შეგიძლიანთ შესწიროთ და მაშინ საგანი ადვილად გადასწყდება ფულის რაოდენობის მიხედვითაო. თავმჯდომარეს აზრი ყველამ მოიწონა და კრებამ დაიწყო ხელის-მოწერა მდივანის ბ-ნ ლორდქიფანიძის ხელ-მოსაწერ დავთარში. სულ ერთის საათის განმავლობაში 42 კაცმა მოაწერა ხელი და ფულად შესდგა ასოცი თუმანი; ამათ შორის რამდენმამე მაშინვე გადასცა მდივანს შეწირულება და დანარჩენებმაც აღუთქვეს თავისის წვლილის შეტანა ერთის თვის განმავლობაში.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ უფულობის მიზეზით ეკკლესია სკოლაში მოვათავსოთო, თორემ თავისს დღეში საკუთარს ეკკლესიას ვერ ვეღირსებითო.

საოსეთოსა და ქიშტებში (ჯარახის ხეობაზედ) ქრისტიანობა მეთორმეტე საუკუნიდგან დღემდის ქართველის მღვდლებისა და მისიონერებისაგან იყო გავრცელებული და დაცული; მრავალი ქართველი მღვდელი იტანჯა მოწამებრივად და დასთხია სისხლი ისლაამის სარწმუნოების საწინაალმდეგო ბრძოლაში. მრავალი ქართველი მისიონერები ადგილობრივს ტანისამოსს ატარებდნენ და ისე ავრცელებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას ოს-ქისტებში. თვით რუსეთის მთავრობა დიდად აჯილდოებდა ამისთანა მღვდლებს თერგის ოლქში. შამილის აჯანყების დროს ჯარიახის ხეობაზედ ერთი მღვდელი, გვარათ ინდუაშვილი, მსხვერპლი გახდა ლეკებისა, მერე ლაყაფისშვილიც ტყვედ იქმნა ცოლშვილით წაყვანილი; თრუსოს ხეობაზედ იმერელი მღვდელი (გვარი არ მახსოვს) იქმნა მოკლული.

რაც შეეხება იმ აზრსა, რომ ფული ორას თუმანზედ მეტი არ მოიკრიბებაო; არც ეს არის საფუძვლიანი! „ობოლი შველას მოელის, გლახაკი გამდიდრებასაო!“ ნათქვამია ძველთაგან. ექვსას-შვიდას კომლამდე ქართველობა, ასე მოუთმენლად მომლოდინე დიდის ხნიდგან თავის საკუთარის ეკკლესიისა და წირვა-ლოცვისა, ნუ თუ ისე გულ-გრილად დახვდება ამ აზრს. ყველამ ორთა შუა რიცხვით რომ კომლზედ ექვს-ექვსი მანეთი გამოიღოს, ოთხას თუმნამდე ფული შესდგება, აქ ისიც სახეში მისაღებია, რომ ქართველს საზოგადოების გარდა კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომ ამ გვარს საქმისათვის არ დაიზარებენ თავისის წვლილის გამოღებას. მართალია, სხვა თაიმედით კაცმა საქმე არ უნდა დაიწყოს, მაგრამ თუ ჩვენმა საზოგადოებამ კაცები ამოირჩია და სხვა-და-სხვა ქალაქში და სოფლად ხელის წერა გამართა, იმედია, რომ საკმაო ფული მოგროვდება.

კალმის-წვერა

---

*) ამ წერილის დაბეჭდვამ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო დაიგვიანა.

რედ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Юрид. Газ.“ მე-18 №-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ქუთაისის ქართველ ებრაელთა შესახებ. მოგვყავს ეს წერილი სავსებით:

ახალ საქალაქო დებულების გამოცემის შემდეგ უცნაურს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ქუთაისის ქართველი ებრაელები.

როდესაც საგუბერნიო ადმინისტრაცია შეეკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქუთაისის ქალაქის საბჭოში რამდენის ებრაელის არჩევა შეიძლება ხმოსნადაო, პასუხად მიუვიდა, რომ ამიერ-კავკასიის მხარე საზოგადოდ და ქუთაისის გუბერნია კერძოდ არ ეკუთვნის ისეთს ადგილებს, სადაც ებრაელთ დასახლების უფლება აქვთ, და ამიტომ, უმაღლესად 1892 წლის 11 ივნისს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის მე-XIV ნაწ. 1 პუნქტის თანახმად, ამ მხარეში მცხოვრებ ებრაელთ ქალაქის თვით-მართველობაში მონაწილეობის ნება არა აქვთო.

სამინისტროს მიერ ასეთის განმარტების გამო ქ. ქუთაისის ებრაელნი მოკლებულნი იყვნენ უფლებას მონაწილეობა მიეღოთ თავიანთ სამშობლო ქალაქის თვით-მართველობაში და საგუბერნიო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დაიწყეს, რომ აღგვიდგინეთ ჩვენი უფლებანი, რომელიც კანონით გვეკუთვნისო.

საქმე ის არის, რომ კავკასიაში და კერძოდ ქალაქ ქუთაისში სცხოვრობენ როგორც ქართველი ებრაელები, მკვიდრნი მცხოვრებელნი ამიერ-კავკასიისა, ისე რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადასახლებული ებრაელებიც, რომელთაც პირველში აღკრძალული ჰქონდათ ამიერ-კავკასიაში ცხოვრება, რადგან უფლება არა ჰქონდათ ებრაელთა დასასახლებელ ადგილთა გარეშე ცხოვრებისა, ხოლო შემდეგ კავკასიის მთავარ-მართებელის განსაკუთრებულ შუამდგომლობისა გამო ზოგიერთს მათგანს, სხვათა მაგალითის გარეშე, ნება დაერთო ადგილობრივ ებრაელთა საზოგადოებაში ჩარიცხვისა.

ქართველი ებრაელები დასახლებულნი არიან კავკასიაში უხსოვარ დროიდგან და საქართველოს მეფეების დროსაც და რუსეთის მთავრობის დროსაც არაფრით არ განირჩეოდნენ სამოქალაქო უფლების მხრივ დანარჩენ მკვიდრ მცხოვრებელთაგან. ბატონ-ყმობის გაუქმებამდე ქუთაისის გუბერნიის ებრაელები საბატონო და სამონასტრო ყმები იყვნენ. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ-კი ერთი ნაწილი ებრაელებისა სოფლის მკვიდრადვე დარჩა, ხოლო მეორე ნაწილმა ქუთაისში დაიწყო ცხოვრება და მოქალაქეთა წოდებას მიეწერა. არც სოფლებსა და არც ქალაქში ქართველი ებრაელები უფლების მხრივ არაფრით არ იყვნენ შეზღუდულ-განსაზღვრულნი და სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რომლითაცა სარგებლობენ ადგილობრივი ქრისტიანე და მაჰმადიანი მცხოვრებლები. სოფლებში ისინი სხვებთან ერთად იხდიან საზოგადო გარდასახადს და მონაწილეობას იღებენ სოფლის მმართველების არჩევანში. ქალაქებში ქართველმა ებრაელებმა უძრავი ქონებანი შეიძინეს და ქალაქის მკვიდრთა საზოგადოების სრულ-უფლებიანნი წევრნი არიან.

კანონი რომ სრულიად არ განასხვავებდა ქართველ ებრაელებს ამიერ-კავკასიის დანარჩენ მკვიდრთაგან, იქიდგანა სჩანს, რომ ებრაელებს „ნება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობასა და იჯარაში სოფლელთა უფლებით, ისე-კი, რომ იჯარა საურთიერთო თავმდებობით უზრუნველ-ჰყონ“, ნება ეძლევათ დასახლდნენ იმ დაბა-სოფლებში, რომელიც გაშენებულია კავკასიის ჯარის ციხე-სიმაგრეებსა და სადგომებთან. ამას გარდა, დებულება ზურგით საქონლის გასასყიდად მატარებელ ებრაელთა გარდასახადისა კავკასიის ქართველ ებრაელთა შორის არ არის შემოღებული და, მაშასადამე, ამ მხრივ კავკასიის ებრაელნი გაერთუფლებულნი არიან ებრაელ-ყარაიმებთან.

ყოველთვის, როდესაც-კი სენატს შემთხვევა ჰქონია თავისი აზრი გამოეთქვა კავკასიის ქართველ ებრაელთა უფლების შესახებ, სრულიად გარკვევით და განსაზღვრით აუხსნია ეს საგანი. მაგალითებრ, უმართებელესის სენატის 1886 წლის 11 ივლისის მე-8134 №-ის, პირველ დეპარტამენტის მიმართ წარგზავნილ ბრძანებიდგანა სჩანს, რომ კავკასიასა და ამიერ კავკასიის მხარეში მცხოვრები ებრაელები სამოქალაქო უფლების მხრივ გათანასწორებულნი არიან ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებთან და იმათ არ შეეხება ის აღმკრძალველი კანონები, რომელიც დადგენილია ებრაელთათვის სამუდამო საცხოვრებლად განწესებულ ადგილების გამო რუსეთის შიდა-გუბერნიებში. ამ გვარადვე, სენატის სისხლის სამართლის საკასსაციო დეპარტამენტმა განმარტა (1888 წ. № 10), რომ კავკასიის ქართველი ებრაელები, არა-ქართველ ებრაელთაგან განსხვავებით, კანონის მიერ ამ მხრის ადგილობრივ მკვიდრთან გაერთუფლებულნი არიანო.

დასასრულ, სამხედრო ბეგარის გარდახდის მხრივაც ამიერ-კავკასიის ებრაელნი გათანასწორებულნი არიან კავკასიის დანარჩენ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რომელთაც, როგორც ვუწყით, ამ ბეგარის გარდახდის საქმეში შეღავათი ეძლევათ; ის ებრაელნი-კი, რომელნიც კავკასიაში სცხოვრობენ, მაგრამ იქ რუსეთის შიდა-გუბერნიებიდგან გარდასახლებულან, სამხედრო ბეგარას საზოგადო საფუძლისამებრ იხდიან.

აშკარაა ამ გვარად, რომ თუმცა კავკასია და ამიერ კავკასია არ არის ჩარიცხული ებრაელთა სამუდამოდ დასასახლებელ ადგილთა შორის, თუმცა საზოგადოდ ებრაელთ აღეკრძალებათ ამ ქვეყანაში დასახლება და ცხოვრება, — ეს დადგენილება არ შეეხება ქართველ ებრაელებს, რომელთაც რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობა ამიერ-კავკასიის მხრივ დანარჩენ მკვიდრ მცხოვრებლებთან ერთად მიიღეს.

თუ ქართველი ებრაელები, შეადგენენ რა სოფლის საზოგადოებათა ნაწილს, სოფლის მმართველობაშიაც იღებენ მონაწილეობას, ვერაფერი სამართლიანობა იქნება, რომ ქალაქელ ებრაელებს ნება არა ჰქონდეთ ქალაქის საბჭოში მონაწილეობის მიღებისა. ეხლანდელ საქმეთა ვითარებაში-კი ქუთაისის ქართველი ებრაელები არამც თუ მოკლებულნი არიან იმ უფლებას, რომლითაც ისინი ძველის-ძველადვე თავისუფლად სარგებლობდნენ, არამედ იმ განსაზღვრულ უფლებასაც, რომელიც ახალის საქალაქო დებულებით მინიჭებული აქვთ რუს ებრაელთ მათ სამუდამოდ დასასახლებელს ადგილებში.

აშკარაა, აქ უბრალო გაუგებრობას აურევია ეს საქმე, რასაც უეჭველია, კავკასიის მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიწერ-მოწერა გამოარკვევს და ცხად ჰყოფს.

რასაკვირველია, ესევე ითქმის ტფილისისა და ამიერ კავკასიის სხვა ქალაქების ქართველ ებრაელთა შესახებაც.

## რუსეთი

—

ამ ჟამად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა შეიმუშავა დროებითი წესები სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან სასოფლო სამეურნეო კურსებისა და კითხვების გამართვის შესახებ. ამ წესების ძალით სამეცადინო დრო და ხელმძღვანელთა დანიშვნა იმ სასწავლებლის უფროსის ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, სადაც იქმნება დაარსებული კურსები. კურსებმა უნდა გასტანოს ორი კვირა. უფროსის სურვილისამებრ მსმენელნი შეიძლება გამოიცადნენ და მიეცეთ შესაფერი მოწმობები.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლების იმ მასწავლებელთ, რომელთაც სასულიერო სემინარიაში დაუმთავრებიათ სწავლა, ამ სასწავლებლებში ყოფნის ხანი ჩაეთვალოთ სამღვდელო პენსიის დასამსახურებლად დადგენილ ვადაში.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** 6 მარტს, 1848 წლის აჯანყებიდგან ორმოც-და-ათის წლის შესრულების დღეს, ამ აჯანყების დროს დახოცილთა საფლავზედ ბერლინში სოციალისტთა და ანარქისტთ მანიფესტაცია მოახდინეს მათ სასახელოდ. სოციალისტთ მწყობრად წინ გაუარეს ძეგლს და შემდეგ გვირგვინები დააწყეს ზედ. თუმცა ბევრი პოლიციელნი შეიკრიბნენ ამ ადგილას, მაგრამ ხელი არ გაუღიათ, რადგანაც ყველას თავი კარგად ეჭირა და არავითარ უწესოებას არ ახდენდა. მხოლოდ სასაფლაოს კარებში ერთი პოლიციელი იდგა, დიდის მაგრატლით ხელში, გვიგვინებს სინჯავდა და თუ რამეს საეჭვოს დაინახავდა იქვე სჭრიდა და ჰმალავდა. კონსერვატორებმა თავისის მხრით ამ მანიფესტაციების წინააღმდეგი მანიფესტაცია გამართეს იმ ჯარის-კაცებისა და აფიცრების საფლავზედ, რომელნიც აჯანყებულებთან ბრძოლაში დაიხოცნენ. გვირგვინები გაგზავნეს აგრეთვე გვარდიის რაზმის აფიცრებმაც. თვით იმპერატორი ვილჰელმი აპირებდა ამ აფიცერთა და ჯარის-კაცთა საფლავის ნახვას, მაგრამ მერე უარი სთქვა და აღარ წავიდა. ამ დღეს პარლამენტშიაც შეტაკება მოხდა სოციალისტთა და მთავრობის მომხრეთა შორის. პირველმა ილაპარაკა სოციალისტთა დასის მომხრემ, გამოჩენილმა ორატორმა ბებელმა და დახოცილ აჯანყებულთა სახელი დიდის ქებით მოიხსენია. ეს სიტყვები არ ესიამოვნა აწინდელ სამხედრო მინისტრს გესსლერს, რომელმაც სთქვა, რომ 1848 წლის აჯანყება ერთი სამწუხარო მოვლენათაგანი იყო პრუსიის ისტორიაშიო. დასასრულ გესსლერმა აჯანყებულნი „საძაგლებად“ მოიხსენია. ამის გამო საშინლად აღელვებულმა ბებელმა სთქვა, რომ „გესლერმა შეურაცყოფა მიაყენა საუკეთესო მამულიშვილთ და იმის სიტყვები არასოდეს არ დაავიწყდება გერმანიის

ხალხსაო. უპატიოსნო და სამარცხვინოა ასეთი ლაპარაკი 1848 წლის მებრძოლთა შესახებ. თუ რომ ამ მებრძოლთ განეხორციელებინათ თავიანთი აზრი, 1870—71 წლების ომი უსარგებლო იქმნებოდა. მეფე ძალიან კარგი კაცი იყო, მაგრამ სუსტი აღმოჩნდა. იმ დროის კომმუნარი და ატეისტი, ხოლო აწინდელი თავმდაბალი და მორჩილი მინისტრი მიკკელიც მეამბოხეთა მომხრე იყო (საშინელი აღელვებაა). მაშინდელი დაპირებანი რომ სისრულეში მოეყვანათ, გერმანიისთვის ბისმარკი საჭირო აღარ იქნებოდაო“.

—

**ოსმალეთი.** გაზ. „Berliner Tageblatt“-ი შემდეგ ამბავს იუწყება: „ვოლოში ორმა ოსმალელმა ჯარის-კაცმა მოჰკლა კათოლიკეთა მღვდელი დალეციო, როდესაც ეს უკანასკნელი პარაკლისს იხდიდა საბერძნეთის მეფის სიკვდილისაგან გადარჩენის გამო“ ამავე ამბის შესახებ „ჟურნალ დე დებატ“ სწერს, რომ ჯარის კაცები, როდესაც მღვდელს ეძინა, იმის ოთახში შევიდნენ და მოჰკლესო. ამ მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ მღვდელმა საბერძნეთის მეფის გადარჩენის გამო პარაკლისი გარდაიხადაო.

## ნაკვესი

—

მოსამართლესთან.

— თქვენ ის ბრალი გედებათ, რომ დღისით, გესმით, დღე ქურდობა ჩაგიდენიათ და ათის თუმნის ნივთები მოგიპარავთ. რას იტყვით თქვენდა გასამართლებლად.

— იმას ვიტყვი, ჩემო ბატონო, რომ იძულებული ვიყავ ეგ საქმე დღე ჩამედინა, საღამოთ გადადება არ შეიძლებოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ღამე სხვა, შეგნებულ საქმურდალი მეგულებოდა.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(შემდეგი*)

ორიოდე სიტყვა კათალიკოზის არსენის შესახებ. ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზით ამ კათალიკოზს სთვლიან 1218—1233 წლების მოღვაწედ და რად უწოდებენ მას ბულმაისისძედ, როდესაც იგი ყველგან თავის თავს იხსენიებს ბულმაისიმის ძედ.

ამავე კრებულის 287 ფურც. მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „უფალო დალადყავი. ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა თქუმული არსენი ბულმაისიმის ძისაგან ქართლისა კათალიკოზისა“. ფურც. 233: „ესე იამბიკონი ხუთთა თთუჱთა მეტნი არ იყვნეს ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუჱთანი არსენი ბულმაისიმის ძემან თქუა ქართლისა კათალიკოზმან“. ცხადია, რომ ამ არსენი კათალიკოზის გვარი ყოფილა ბულმაისიმის ძე. და ამას გარდა, მალიან შესაძლებელია: მისი გვარი ყოფილიყო ისიმისძე, ხოლო სახელად რქმეოდა არსენი და სხვანაირად ბულმა, რადგან ა) მის დროს ბევრს მოღვაწეს ორ-ორი სახელი ჰქონდა და ბ) თვით კრებულში ბულმა ისიმისძე განცალკევებულად სწერია.

არსენი ბულმაისიმისძის შესახებ მალიან ნაკლები ცნობები გვაქვს. დღემდის არა სჩანდა დრო მისის მოღვაწეობისა და მამადმთავრობისა. ვფიქრობთ, რომ ამ გამოურკვეველს საგანს რაოდენათმე ნათელს ჰფენენ თვით კრებულისავე ქორონიკონები. 61 ფურც. სწერია:

ქრისტესითგან დიდისა კოსტანტინემდე ტიჱ წ. (318 წ.) კოსტანტინესითგან მიხაელ თეოფილეს ძისამდე ფმე (545 წ.) მიხაელითგან ალექსი კომინიანოსისამდე სმე (245 წ.) და ა. კომინიანოსით ვიდრე დღევანდელად დღედმდე რჲ (160 წ.). მიხაელ თეოფილეს ძე მეფობდა 842—867 წ. წ. (და 318+545=863 წ.); ალექსი კომინიანოსი მეფობდა 1081—1118 წ. წ. (და 863+245=1108 წ.). ხოლო ამ 1108 წ. რომ მივუმატოთ 160 წ. გამოვა 1268 წ.

შემდეგ იმავე წერილის ავტორი სწერს: „და აწ ამას წელსა შინა ვართ ოდეს ესე დაიწერა ქორონიკონი მეათცამეტედ ქცეულიყო Ჲ ოთხმეოცდა მეათორმეტე“. ქორონიკონების თვლაში ავტორი კახუშტს არ მისდევს, არამედ მისი ანგარიშით თორმეტი ქორონიკონი (კვინკლოსი) სრულდება 6384 წ. (532×12=6384), და ამას რომ მივუმატოთ ზემორე აღნიშნული „Ჲ ოთხმეოცდა მეათორმეტე“ წელიწადი მე 13-ე ქორონიკონისა, გამოვა ისევ ის 1268 წ. (6384+392—5508=1268).

ხოლო ეს 6384 წელი დასაბამითგან ქართულის თვლით უდრის 780 წელს ქრისტესითგან ბერძნულის წელთა აღრიცხვით. ქართული წელთა თვლა, როგორც ამბობს წმ. იოანე შავთელი, სჭარბობს ბერძნულს თვლას 96 წლით. და ამიტომაც 6384—(5508+96)=780. ამ 780 წლიდგან იწყობა მე 13 ქორონიკონი (ბერძნულის თანასწორად).

მეორე წერილის ავტორი (წმ. ი. შავთელი) სწერს: „წელნი იპყრენ დასაბამითგანნი ვიდრე წლეულამდე: ქქსათას შჳდას ორმეოცდა ერთნი: უნავლულესნი ქართველთა სათუალავისასა“. მაშასადამე ეს წერილი დაწერილია 1233 წ. (6741—5508=1233 წ.).

სხვა ადგილას ავტორი შედის მსოფლიოს აღსასრულის განმარტებაში. წიგნნი იტყვიანო, რომ დასაბამითგან ქვეყნის აღსასრულამდე გაივლიან 7000 წელნიო. ხოლო დღევანდლამდე ჩვენი ქორონიკონი 12-ჯერ ქცეულაო. (532×12=6384 წ.) და აწ მეცამეტესა შინა ვართო და ამისი 493 წელიწადი გარდაკდაო (6384+493=6877) და ეს მე-13 ქორონიკონიც რომ დასრულდება, მაშინ დასაბამიდგან იქნებიან წელნი 6916 (მართლაც 6384+532=6916) ამ შვიდათას წლად დააკლდებიან 84 წელნი მეათოთხმეტისა ქორონიკონისა (6916+84=7000).

ამ სახით ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ქორონიკონების აღმრიცხველი, როგორც თვითონვე ამბობს, ყოფილა მწერალი იმ დროისა, როდესაც ქართულის ანგარიშით ქორონიკონი ქცეულა 12-ჯერ და მეცამეტისას გაულია 493 წელი. ხოლო (12×532+493)—(5508+96)=1273 წ.

თვით არსენი ბულმაისიმის ძე ყოფილა თანამედროვე მეფის გიორგისა. ხოლო ამ ხანებში (1233 წ.—1268 წ.—1273 წ.) არც ერთი გიორგი არ მეფობდა საქართველოში. გიორგი-IV-ლაშა ხელმწიფობდა 1212—1223 წლამდე, გიორგი V უფროსი 1299—1301 წლამდე.

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ არსენი კათალიკოზი უნდა იყოს ან თანამედროვე ლაშა-გიორგისა და ან გიორგი უფროსისა.

აი როგორ ახასიათებს თვით არსენი იმ გიორგის მეფობას, რომლის დროსაც იგი სცხოვრობდა (ფურც. 303).

ჵ ხატო ქრისტე ღვთისაო. მეფე მორწმუნე გიორგი შენ მიერ გვრგვნოსანი, განამგნევე ძლევად მტერთა. ეკლესიათა და მღდელთა ერთობაჲ ყავ. და ყოველი ჰასაკი შენი... შეიწყალე და მეცა მგალობელსა ნუ დამსჯი. დიდებაჲ.

ჵ მეფეთა მეფეო. და უფალთა მფლობელო. ღმერთო ღმერთმთავრობისაო. სამებაო წმიდაო. ქრისტეს მოსახელე მეფე. ბარბაროზთა მძლეჲ გამოაჩინე და ერი შენი დაიცევ საფარველსა ჯვრისა წმიდისასა ქუეშე. აწ და მარადის.

ჵ უხრწნელო ღვთისმშობელო რომელმან ქრისტე ღმერთი ჰშევ მაცხოვრად კაცთა. ევედრე ძესა შენსა. ქრისტიანეთათჳს. რამეთუ შენდამი. მხოლოჲსა სასოებაჲ დაუც ყოვლად წმიდაო. და რისხვითა შენითა წარაქციენ მტერნი ჩუენნი.

ვინ უწყისო, ამბობს კრებულის ერთის წერილის ავტორი 1273 წელს, შეგთუ აწცა მოიწიოს ჩვენი აღსასრულის დღეო.

ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ლაშა-გიორგის დროს საქართველოში პირველად გამოჩნდნენ თათარნი-მონგოლნი, რომელთაც სძლიეს ჩვენნი მხედრობანი და შეუნიქცნენ. გარნა გიორგი უფროსის დროს საქართველო შეკვე მათს მონებას ქვეშე იყო.

უველა ამ ცნობებიდამ ერთი დასკვნა გამოდის: ან არსენი ბულმაისიმის ძე თანამედროვეა გიორგი უფროსისა და ან მას თვისი საგალობელი დაუწერია ლაშა-გიორგის დროს და მისი ნაშრომი და აგრეთვე სხვა პირთა ჩვენ მიერ უცნობს მწერალს შეუტანია კრებულში მე-XIII საუკუნის გასულს.

ყოველს შემთხვევაში ჩვენ ამ კითხვას გარდუწყვეტელად ვსტოვებთ.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 58.

## გამოსადეგი ცნობა

—

გაუვითლებულ სარეცხის გარეცხვა ასე უნდა, რომ გათეთრდეს: ჯერ მაწონში დაალბეთ, ვიდრე გასუფთავდებოდეს; მერე ნელ-თბილ წყალში გარეცხეთ საპნით, გასწურეთ ცივ-წყალში და გააშრეთ. თუ ვინიცობაა გაყვითლებული სარეცხი არ გათეთრდა, ხელმეორედ ისევ ისე მოიქეცით.

## რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობია?

გაზ. „ივერიის“ მე-34 ნომერში ბ-ნი მმუისელი სწერდა, რომ „водопадъ“-ი ქართულად უნდა ითარგმნებოდეს „მეჩხერა-“დაო. ამავე გაზ. მე-49 ნომერში მამა ზაქარია დავითაშვილი უარჰყოფს ამ სიტყვის ასეთ თარგმანს და ბრძანებს, რომ „водопадъ“-ის აღსანიშნავად და ზედ-გამოჭრილ სიტყვად უკეთესი იქმნება ვიხმაროთ სიტყვა „ჩახრიალა“, გინა „ჩაბარუხიო“. ჩემის აზრით-კი „водопадъ“ ის აღსანიშნავად უფრო მოხერხებულად უნდა ჩაითვალოს სიტყვა „ჩაქუხა“, რადგან ეს სიტყვა ყველა ზემო მოყვანილ სიტყვებზედ მეტად გამოჰხატავს იმას, რასაც რუსულად „водопадъ“-ი ჰქვიან. ამ სიტყვას ხმარობენ გურიაში, სოფ. გომში (შემოქმედის საზოგადოებაშია) და ყველა მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებშიაც და უწოდებენ მდ. ბჟუჟში ერთს ისეთს ადგილს, სადაც წყალი, კლდიანის ნაპირებისაგან მეტად შევიწროვებული, მართლაც-და ჩამოჰქუხს მირს რამდენისამე საჟენის სიმაღლიდგან.

ი—ლი ღლონტი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 მარტი

**ბელგრადი.** სკუპჩინა დათხოვნილ იქმნა. ახალი არჩევანი დანიშნულია ისე გვიან, როგორც-კი შესაძლებელია კონსტიტუციით.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის განზრახვა აქვს მიჰმართოს კონგრესს ეპისტოლეთი, რომელიც შეეხება კუნძულ კუბას იმ მცხოვრებთ, ვინც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს და მოითხოვს $^1/_2$ მილიონ დოლლარს, რომ ამ მცხოვრებლებს დაუყოვნებლივ დაეხმაროს. მაკ-კინლეი იმავე დროს სთხოვს ესპანიას თავი დაუდოს თავის ქვეშევრდომთ, რომელთაც ცხოვრების სალსარი არა აქვთ და ბოლო მოუღოს ბრძოლას. თუ ესპანია ამას არ იზამს, მაშინ შეერთებული შტატები კაცთ-მოყვარეობისა გამო ძალით ჩაერევიან საქმეში. მაკ-კინლეის აზრით, ჯერ დაგვიანებული არ არის და შეიძლება საქმე მშვიდობიანად გათავდეს.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მარტი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა მან. კ. | გარიგებისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | „ — | — „ | $223^1/_2$ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | $99^7/_8$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | 102 |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | $100^1/_2$ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $100^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $101^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 284 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | „ — | — „ | $250^1/_4$ |

## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ 16 მარტიდგან დაარსებულ იქმნა ქალაქის ფარდულები, რომელშიაც მიღებული იქმნებიან ყვავილით ავადმყოფი ბავშვები 14 წლამდე და დედაკაცები. შეუძლებელთ უსასყიდლოდ მიიღებენ. ბავშვებთან ერთად დედებსაც მიიღებენ. ფარდულები მოთავსებულია ავლაბარში, სამების უბნის ზემოდ.

(3—6.—1)

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ილია ჭავჭავაძე ბიოგრაფია. | „ | 20 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Марта 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.